ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4237134

ნომერი: AR1639443

თარიღი : 23.10.2018

გაცემის თარიღი : 26.10.2018

გაცნობის თარიღი : 26.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზურა ავალიშვილის ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აკაკი გრძელიშვილი პ/ნ 01008025909
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 8 ბ. 39

ორგანიზაცია:
- ჭავჭავაძის 33 კოდი: 406088807

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2599997
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.05.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან, განხორციელებული მშენებლობის შედეგად შეცვლილია ფართები, საჭიროა განიმარტოს, შეიცვალა თუ არა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული, გასხვისებული ფართების ფარტობი საჯარო რეესტრის მონაცემებთან მიმარტებაში, მიეთითოს ასეთი ფართების წილობრივი საკადასტრო კოდები და საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ფართის ცვლილების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას ფართების მესაკუთრეების, არსებობის შემთხვევაში მომავალი მესაკუთრეების და იპოთეკარების თანხმობები. ასევე, შესაძლებელია უფლებამოსილი პირების თანაგანმცხადებლებად დარეგისტრირება.

2.ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის დოკუმენტის ნომერი: მიუთითეთ ბ-19/0118198527-17

3.ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის დოკუმენტის თარიღი: მიუთითეთ 17/10/2018

4. შეცვლილია საავტომობილო პანდუსის ფორმა, შემცირებულია ლიფტის ღიობის გაბარიტი, აინანზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის კარადები და კონდიციონერები, ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ,,ა" ბლოკში 0.00 ნიშნულზე მოწყობილია ანტრესოლი და კიბე.

წარმოადგინეთ პანდუსის, კეთილმოწყობისა და ანტრესოლი ანაზომი ნახაზები გაბარიტული ზომების და ნიშნულების დატანით, იმ შემთხვევაში თუ ანტრესოლი წარმოადგენს სრულ სართულს წარმოადგინეთ კ2 კოეფიციენტის საანგარიშო პოლიგონალური ხაზები (კროკები) ფართობის მითითებით. ანაწომი ნახაზები დამოწმებული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

კონდიციონერების დამსგავსი ტექნიკური დანადგარების განთავსება მოხდეს აივნის ფართში მოაჯირის სიმაღლემდე ან ორგანიზებულად შეინიღბოს დეკორატიული ელემენტებით. წარმოადგინეთ კონდიციონერების განთავსების ამსახველი ფოტომასალა.

წარმოადგინეთ სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა და ინფორმაცია შემსრულებელი ექსპერტის შესახებ.

აღნიშნული დარღვევების გამოსწორების შემთხვევაში წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დოკუმენტი დარღვევის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.